კვარტალური მაკროეკონომიკური მიმოხილვა*

კვარტალის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 7.2%-ით გაიზარდა.
- წლიური ინფლაცია 13.0%-ს გაუტოლდა.
- ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ წინა კვარტალთან შედარებით 3.9%-ით, ხოლო 2021 წლის II კვარტალთან შედარებით 11.0%-ით გამყარდა.
- ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითმა მთლიანმა სალდომ 143.6 მლნ ლარი შეადგინა.
- დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა კვარტლის ცვლადს

1. რეალური სექტორი

2022 წლის II კვარტალში, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით, მშპ-ის საშუალო რეალურმა ზრდამ 7.2% შეადგინა.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2022 წლის II კვარტალში მშპ-ს პოტენციური დონე ჩამორჩებოდა სტატისტიკის მიერ შეფასებულ მონაცემს, შესაბამისად მშპ-ს გაპი იყო დადებითი და 2.9%-ს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალში მშპ-ის გაპი დადებითი 1.6% იყო.

აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის მიერ 2022 წლის მაისში გაკეთებული მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასება შეადგენდა 3.3% [1] -ს, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთ-უკრაინას შორის მოსალოდნელი საომარი მდგომარეობის გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე. თუმცა, სტატისტიკის სამსახურის წინასწარი შეფასებით დაფიქსირდა მოსალოდნელზე უკეთესი ეკონომიკური ზრდა. მიუხედავად მეზობელ ქვეყნებში არსებული საომარი მდგომარეობისა, ქვეყანაში მეორე კვარტლის განმავლობაში არ შეფერხებულა ეკონომიკური საქმიანობა. ამავდროულად, 2022 წლის II კვარტალში დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების, ასევე ფულადი გზავნილების და საგარეო ვაჭრობის ზრდა.





2022 წლის I* კვარტალში, საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მშპ-ს ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი ექსპორტის და მოხმარების ზრდას ჰქონდა.

მშპ-ის კომპონენტების ანალიზის მიხედვით, 2022 წლის I კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი ექსპორტის (14.1%) და მოხმარების (16.8%) კომპონენტებით იქნა განპირობებული. აღნიშნულ პერიოდში უარყოფითი გავლენა მშპ-ზე ინვესტიციებს (-1.1%) და იმპორტს (-14.8%) ჰქონდა.

[1] www.pbo.parliament.ge

ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით



თვიურ მონაცემებზე დაკვირვებით ვლინდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტრენდი წრფივი არ არის.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მშპ-ის ტრენდის[2] ზრდის ტემპმა 12.0% შეადგინა. 2021 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 10.1%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპები შეინიშნება.

რეალური მშპ-ის ტრენდი



სამომხმარებლო ფასების ინფლაცია (%)
(წინა წლის შესაბამის პერიოდთან)



2022 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია ზრდის ტენდენციას ავლენს.

2022 წლის II კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 13.0% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე მეტი. 2022 წლის II კვარტალში ინფლაციის დონის ფორმირებაზე გავლენა იქონია ძირითადად სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერგიაზე, აირზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე აგრეთვე სხვა სასაქონლო ჯგუფებზე ფასების დინამიკამ.

[2] ტრენდი წარმოადგენს ყოველთვიური ეკონომიკური ზრდის შეფასებას სეზონურობის და შემთხვევითი რყევების გამორიცხვით

2. ფისკალური სექტორი



2022 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 33.7%-ით გაიზარდა და 4,668.6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების შეძენამ 4.5%-ით მოიმატა და 4,947.9 მლნ ლარს გაუტოლდა. 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საოპერაციო სალდოს მაჩვენებელი 937.1 მლნ ლარით გაიზარდა და შეადგინა 663.2 მლნ ლარი. უარყოფითი მთლიანი სალდო 143.6 მლნ ლარით განისაზღვრა. შედარებისათვის, 2021 წლის II კვარტალში უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 1,101.7 მლნ ლარს შეადგენდა.

2022 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 29.6%-ით გაიზარდა და 3,954 მლნ ლარით განისაზღვრა.

2022 წლის II კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი გადასახადები 53.3%-ით გაიზარდა და 1,687 მლნ ლარი შეადგინა, არაპირდაპირმა გადასახადებმა კი 16.2%-ით მოიმატა და 2,267 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გრანტების კომპონენტი გაიზარდა 50.4%-ით და განისაზღვრა 41 მლნ ლარით, ხოლო სხვა შემოსავლებმა მოიმატა 63.1%-ით, რამაც 674 მლნ ლარი შეადგინა.





2022 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე ხარჯები გაიზარდა, ხოლო არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები კლების ტენდენციას ავლენს.

2022 წლის II კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები 4,005 მლნ ლარს შეადგენს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.4%-ით მეტია. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 943 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემზე 2.7%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში 11.8%-ით არის გაზრდილი ხარჯები საქონელსა და მომსახურებაზე, რამაც შეადგინა 589 მლნ ლარი. შრომის ანაზღაურებაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე ხარჯების ზრდამ შესაბამისად შეადგინა 13.2% და 3.3%, ხოლო ნომინალურ გამოსახულებაში 533 მლნ ლარი და 1,588 მლნ ლარი. დანარჩენმა ხარჯებმა (პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სხვა მომსახურება) მოიმატა 5.3%-ით და შეადგინა 1,294 მლნ ლარი.



2022 წლის II კვარტალის ბოლოს – 30 ივნისის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის ნაშთმა ნომინალურ გამოსახულებაში 29,367 მლნ ლარი შეადგინა, რაც 5.6%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

2022 წლის II კვარტალის ბოლოს სახელმწიფო ვალის მოცულობაში საგარეო ვალის წილი 78.9%-ს შეადგენს (2021 წლის II კვარტალის ბოლოს - 81.5%), ხოლო საშინაო ვალის წილი - 21.1%-ს (2021 წლის II კვარტალის ბოლოს - 18.5%).



3. საგარეო სექტორი



2022 წლის I კვარტალში საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა.

2022 წლის I კვარტალში, მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 598.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 37.6%-ით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. მშპ-თან მისი თანაფარდობის მაჩვენებელი -13.0%-ით განისაზღვრა. მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების მიხედვით, საქონლითა და მომსახურებით სავაჭრო ბალანსსა და წმინდა შემოსავლების დეფიციტს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მიმდინარე ტრანსფერტების და მომსახურების დადებითი სალდო. აღსანიშნავია, რომ მოგზაურთა მომსახურებაში მნიშვნელოვნად დადებითი დინამიკა შეინიშნება 2021 წლის II-IV კვარტლებში და 2022 წლის I კვარტალში. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2022 წლის I კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი 635.2%-ით გაიზარდა და 393.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.



2022 წლის I კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების ძირითად წყაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები და ფინანსური წარმოებულები წარმოადგენდა.

ამ პერიოდში წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 451.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ის მიმართ 9.8%), რაც 813.5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება პორტფელის ინვესტიციებს და ფინანსურ წარმოებულებს, 2022 წლის I კვარტალში მათი ჯამური ოდენობა 61.4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ანუ, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 13.6%-ით მეტი.





2022 წლის II კვარტალში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 3,922 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2022 წლის II კვარტალის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვების ოდენობა 3,922 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მცირედით (0.1%-ით) მეტია. 2022 წლის მარტში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ 39.6 მლნ აშშ დოლარი გაყიდა, ხოლო მაისში 10.0 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.



2022 წლის II კვარტალში საქონლით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის და იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა.

2022 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი 29.8%-ით გაიზარდა და 1,387 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქონლის იმპორტის 32.8%-იანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 3,173 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. საანალიზო პერიოდში ექსპორტის წილმა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.4% შეადგინა. 2022 წლის II კვარტალში უმსხვილეს საექსპორტო საქონელს მიეკუთვნებოდა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობი, მსუბუქი ავტომობილები, აზოტოვანი სასუქები, ნატურალური ღვინოები და სხვა.





2022 წლის II კვარტალში, გაიზარდა როგორც საერთაშორისო მოგზაურების, ასევე საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები.

2022 წლის II კვარტალში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ 1,049,425 შეადგინა, რაც 198.7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტებსაც, რომელიც II კვარტალში 922,221 იყო (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შეადგენს 176.2%). მეორე კვარტალში ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტორის ვიზიტი განხორციელდა რუსეთიდან (175,356, ზრდა წინა წლის მეორე კვარტალთან +411.2%), თურქეთიდან (158,335, ზრდა +118.2%) და სომხეთიდან (136,808, ზრდა +333.8%).

2022 წლის II კვარტალში შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურობიდან 748.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 204.2%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



2022 წლის II კვარტალში ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2022 წლის II კვარტალში ფულადი გზავნილები 112.7%-ით გაიზარდა და 1,241.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 54.7%) და ევროკავშირის ქვეყნები (21.3%) წარმოადგენენ. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა რუსეთიდან (551.1%-ით), ყაზახეთიდან (480.1%-ით), ბელარუსიდან (416.7%-ით), ყირგიზეთიდან (346.7%), ტაჯიკეთიდან (248.8%-ით), უზბეკეთიდან (147.3%-ით), სომხეთიდან (113.8%-ით), საუდის არაბეთიდან (103.0%-ით), ნიდერლანდებიდან (76.2%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (46.4%-ით), გერმანიიდან (42.6%-ით) და სხვა.



4. მონეტარული სექტორი

2022 წლის II კვარტალში მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთმა 11.0% შეადგინა.

2021 წლის მარტიდან ინფლაციური ზეწოლის შერბილების მიზნით, მიზანშეწონილი გახდა მონეტარული პოლიტიკის თანდათანობით გამკაცრება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით განაკვეთი 8.0%-დან 8.5%-მდე, აპრილში 9.5%-მდე, აგვისტოში 10.0%-მდე, ხოლო დეკემბრის თვეში 10.5%-მდე გაიზარდა. 2022 წლის მარტში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განაკვეთის კვლავ 0.5 პპ-ით 11.0%-მდე გაზრდის თაობაზე. 2022 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელი (11.0%) დარჩა.





2022 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 12.9%-ს შეადგენდა.

2022 წლის II კვარტალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, წინა კვარტალთან შედარებით, 0.1%-ული პუნქტით გაიზარდა და 12.9%-ით განისაზღვრა. ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 16.6% შეადგინა (0.1%-ული პუნქტით მეტი), ხოლო უცხოურ ვალუტაში სესხებზე - 6.8% (0.3%-ული პუნქტით მეტი).

2022 წლის II კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ლარის კურსი ყველა ძირითად ვალუტასთან მიმართებით, რუსული რუბლისა და სომხური დრამის გარდა, გამყარდა.

2022 წლის II კვარტალში ლარის კურსი (პერიოდის საშუალო) აშშ დოლარის მიმართ, წინა კვარტალთან შედარებით 3.9%-ით, ხოლო 2021 წლის II კვარტალთან მიმართებით 11.0%-ით გამყარდა. 2021 წლის II კვარტალთან შედარებით, ლარი ასევე გამყარდა ევროსთან (25.2%-ით), თურქულ ლირასთან (108.0%), აზერბაიჯანულ მანათთან (10.7%-ით) და უკრაინულ გრივნასთან (18.8%-ით), ხოლო გაუფასურდა სომხურ დრამთან (4.1%-ით) და რუსულ რუბლთან (1.0%) მიმართებაში.





2022 წლის II კვარტალში, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები (ნაშთები) გაიზარდა.

2022 წლის II კვარტალში, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 11.5%-ით მოიმატა და 42,805 მლნ ლარი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (52.8%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი 24.0% გაცემულია მრეწველობის დარგში, 19.2% - ვაჭრობის, 15.2% - მშენებლობის, 11.9% - უძრავი ქონებით ოპერაციების და 9.7% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგებში.



2022 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე.

2022 წლის I კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელმა დეპოზიტებზე 0.4%-ული პუნქტით მოიკლო და 58.2% შეადგინა, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა და 50.4% შეადგინა.

კიდევ უფრო შემცირდა დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე 2022 წლის II კვარტალში. კერძოდ, დეპოზიტებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი 57.2%-ით განისაზღვრა, ანუ წინა კვარტალთან მიმართებით 1.0%-ული პუნქტით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 3.7%-ული პუნქტით ნაკლები. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა, რომელმაც 48.4% შეადგინა, წინა კვარტალთან შედარებით 2.0%-ული პუნქტით, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან მიმართებით 4.2%-ული პუნქტით მოიკლო.



5. სოციალური სფერო

2022 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, საარსებო მინიმუმი გაიზარდა.

2022 წლის II კვარტალის ბოლოს - ივნისში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 226.1 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.1 ლარით, წინა კვარტალთან მიმართებით კი 15.1 ლარით მეტია. რაც შეეხება 2022 წლის II კვარტალის საარსებო მინიმუმის საშუალო მაჩვენებელს, წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან მიმართებით გაზრდილია 19.0%-ით.

2022 წლის II კვარტალში, წინა წლის II კვარტალთან მიმართებით, ჯანდაცვაზე და განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები შემცირდა.

2022 წლის II კვარტალში განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 462.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 3.6%-ით ნაკლებია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები 528.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.5%-ით ნაკლები.





2022 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურება ზრდის ტენდენციას ავლენს.

2022 წლის I კვარტალში ბიზნესს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 673.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8.2%-ით მეტია. რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას, 2022 წლის I კვარტალში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 1,479.7 ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 196.2 ლარით მეტი.

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია